



საქართველოს ზრდის იმპულსი მკაცრი მონეტარული პირობების ფონზე: მშპ-ის პროგნოზის განახლება, იანვარი 2026


გრაფიკი 1. საქართველო, რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი (წ.წ.)



ISSET-ის კვლევითი ინსტიტუტის უახლესი პროგნოზების მიხედვით, სექტემბრის მონაცემებზე დაყრდნობით, მოსალოდნელია 2025 წლის მეოთხე კვარტალში საქართველოს ეკონომიკის **6.6%-ით**, ხოლო **2026 წლის პირველ კვარტალში 5.2%-ით ზრდა**. ჩვენი პროგნოზის თანახმად, 2025 წელს წლიური ზრდა **7.6%** იქნება.




მონეტარულ ინდიკატორებს შორის, 2025 წლის ნოემბერში, წლიური 3.6%-იანი ზრდა უცხოურ ვალუტაში დეპოზიტებში (FC_DEPTOT). ამავდროულად, ეროვნულ ვალუტაში დეპოზიტები (NC_DEPTOT) გაიზარდა 22.5%-ით წლიურად, რაც დოლარიზაციის მცირე შემცირებაზე მიუთითებს. ამასთანავე, M2 ფულადი აგრეგატი გაფართოვდა 21%-ით წლიურად, რაც უფრო აქტიურ მონეტარულ პირობებსა და მოთხოვნის მხარის უფრო ძლიერ დინამიკაზე მიუთითებს. საერთო ჯამში, მონეტარულმა ინდიკატორებმა დადებითი წვლილი შეიტანეს პროგნოზში.




2025 წლის ნოემბერში ჯამური ფულადი ნაკადები წლიურად 11%-ით გაიზარდა. ამ ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი შეიტანეს აშშ-მა (+2.5 პპ), იტალიამ (+1.6 პპ), რუსეთის ფედერაციამ (+2.8 პპ), გერმანიამ (+1.2 პპ), საბერძნეთმა (+1 პპ) და სხვა ქვეყნებმა (+1 პპ). თუმცა, მიუხედავად ამ წლიური ზრდისა, ფულადმა ნაკადებმა უარყოფითი წვლილი შეიტანა მშპ-ის ზრდაში თვიურ კრილში, რადგან ტრანსფერების ზრდის ტემპი წინა თვესთან შედარებით შენეულა. ამ შენელებამ შეამცირა შინამეურნეობის მოხმარებისა და შიდა მოთხოვნის დამატებითი სტიმული, რითაც შეზღუდა მშპ-ის მოკლევადიანი დინამიკა.

ნოემბერში, ლარი თვიურ ჭრილში **3.2%-ით** გაუფასურდა რუსულ რუბლთან მიმართებაში, თუმცა **0.4%-ით** გამყარდა აშშ დოლართან, **0.8%-ით** – ევროსთან, **1.5%-ით** – თურქულ ლირასთან. სავალუტო კურსის ამ ცვლილებების საერთო გავლენა მშპ-ის ზრდის პროგნოზზე უარყოფითი იყო. თუმცა, ოფიციალური სარეზერვო აქტივები თვიურ ჭრილში **3.8%-ით** გაიზარდა, რაც გარე ლიკვიდობის პირობების გაუმჯობესებაზე მიუთითებს.



2025 წლის ნოემბრის მდგომარეობით, **წლიური ინფლაცია 4.9%-ს** შეადგენდა, რაც აღემატება ეროვნული ბანკის 3%-იან სამიზნეს. ამასთანავე, ევრო ბრენტის სპოტ ფასი წლიურად **14.2%-ით** შემცირდა, რამაც შეამცირა გლობალური ხარჯების ზეწოლა. მიუხედავად იმისა, რომ ნავთობის ფასები მნიშვნელოვანი ფაქტორია საწარმოო საშუალებების ხარჯების თვალსაზრისით, ინფლაციამ დადებითი გავლენა მოახდინა მშპ-ის პროგნოზზე.



მშპ-ის პროგნოზის მეთოდოლოგია

ISSET-ის კვლევითი ინსტიტუტის პროგნოზირების მოდელი ახალი ეკონომიკის სკოლის მიერ შემუშავებული წამყვანი ეკონომიკური ინდიკატორების (LEI) მეთოდოლოგიის მიხედვით შეიქმნა. ჩვენი მოდელი ეფუძნება დაშვებას, რომ არსებული მონაცემებიდან შესაძლებელია იმ ფაქტორების გამოკვეთა, რომლებიც ყველა მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცვლადს (მათ შორის მშპ-საც) ასახავს, თან მშპ-ის ზრდის ოფიციალური მონაცემების გამოქვეყნებამდე მნიშვნელოვნად ადრე. ISSET-ის კვლევითი ინსტიტუტი თითოეული კვარტლისთვის ხუთ ყოველთვიურ პროგნოზს (ან 'vintage'-ს) აქვეყნებს, რომელთა სიზუსტე დროსთან ერთად იზრდება. პირველი პროგნოზი (1-ელი 'vintage'), როგორც წესი, ხელმისაწვდომია საანგარიშო კვარტლის დასრულებამდე ხუთი თვით ადრე. ბოლო პროგნოზი (მე-5 'vintage') კი მომდევნო კვარტლის პირველ თვეში ქვეყნდება.